

მეფე მესი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი. ესრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოგედით ჩემდა ყოველნი მაშურადნი და ტვირთ-მომიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11

1883-1892

15 აგვისტოს.

შ ი ნ ა რ ს ი. საღვთისმეტყველო განყოფილება: საერო ურნალ-გაზეთების მსჯელობა საეკლესიო და სასულიერო საქმეების შესახებ. ჩვენი სასულიერო სემინარიები და ახალგაზდა სემინარიელების მღვდლად კურთხევა. — მიტროპოლიტი დავითი. — ქუთაისში წიგნების გამომცემელი ამხანაგობის დაარსებისა გამო. — საისტორიო მასალა. — მენგრელების მთავრინას ეპატირინას დასაფლავებაზე. — ენა (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმძღვანელო და საეუბრადებო ცნობათა განყოფილება: კეთილ წესიერება ტაძარში. — დარიგება მღვდელთა შენახვასა და თვალების მოვლაზე. — საეჭვო კითხვების განმარტება.


საერო ურნალ-გაზეთების მსჯელობა საეკლესიო და სასულიერო საქმეების შესახებ. ჩვენი სასულიერო სემინარიები და ახალგაზდა სემინარიელების მღვდლად კურთხევა.

(გაგრძელება *).

სასულიერო სემინარიების ავ-გარგიანობის აღწერის შემდეგ მღვდლის წერილები ქურნალის «Северный Вѣстникъ»-სა, ეხებიან ახალ-

გაზდა სემინარიელებს, რომელნიც სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ იგზავნებიან მღვდლებად სამრევლოებში. ახალგაზდა სემინარიელებს, განაგრძობს ავტორი ზემოდ აღნიშნული წერილებისა, რომელთაც ჯერეთ კიდეც თვითონ არ აქვს მტკიცე რწმენა და აზრი, აკურთხებენ მღვდლად და სამრევლოებს აბარებენ. ავტორს ძლიერ უკვირს, რომ დღეს მტკიცედ არ ასრულებენ ჩვენი ეკლესიის ძველჩვეულებას, რომლის ძალით 30 წლის წაუღებს მექონე გაცს

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-10 № 1892 წ.



მღვდლად არ აკურთხებდნენ. დღეს, მართლაც, ეს მშვენიერი და სასარგებლო ჩვეულება სრულებით დავიწყებულია... შემდეგ წერილების ავტორი ასახელებს ისეთ მიზეზებს და მოსაზრებათ ახალგაზდა სემინარიელების მღვდლად კურთხევის წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენს საქართველოში სრულებით მოუწერებელნი არიან და ამავე დროს სრულებით ურადღებას არ აქცევენ ისეთ მოვლენას, რომელიც უკვე ჩვენ განს თვალში ეჩხირება.

უკვლასათვის ცხადია, რომ დღეს დავიწყებულია ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი ძველი ჩვეულება და წესი საზარალოდ საქმისა და კეთილზნობისა. მტკიცედ ვადგივართ ძველ ჩვეულებას და წესებს, თუ ჩვენი პირადი სარგებლობისათვის სასარგებლონი არიან იგინი; არ ვაქცევთ ურადღებას ძველ ჩვეულებას, თუ პირადად მათ ჩვენთვის ზარალი მოაქვს. მტკიცედ ვასრულებთ კანონებს, თუ ეს კანონები ჩვენს ბატონობას და კეთილ-დღეობას ხელს უწყობენ, მაგრამ ადვილად ვარდევთ ამავე კანონებს, თუ ისინი ჩვენგან ანგარიშს ითხოვენ და ჩვენს ბატონობას ფრთებს აკვეცენ...

ხან-დის-ხან იმ გაბედულობამდისაც მივდივართ, რომ თავამად ვაცხადებთ: «მე თვითონ კანონი ვარ, ეს კანონები ჩემისთანა გაცებისაგან არიან შედგენილნი». სწორეთ ამისთანა შეხედულებისაგან მოგვდის ის, რაზედაც ხშირად ასე ვსწუხვართ და მუდამ ერთმანეთს შევსწივით, მაგრამ ნამდვილი მიზეზების შეტეობა კი არა გვსერს და უბრალოს კი ბრალს ვსდებთ...

ყურძენი მშვენიერი ნაყოფია, მაგრამ მისი ჭამა, როცა ყურძენი ჯერ კიდევ მკვანება, არავისთვის სასარგებლო არ არის. საზამთრო ნამეტანი ტკბილი და მშვენიერი საჭმელია, როცა იგი მწიფეა, მაგრამ მკვანეობის დროს გრომათ არა დირს. კბილები გაციასათვის მეტად სასარგებლონი არიან, მაგრამ ეს მშვენიერი იარაღი კაცს დაბადებისთანავე არ დაჰყვება ხოლმე.

ვის შეუძლია სთქვას, რომ სემინარიელის მღვდლად კურთხევა სასარგებლო არ იყოს, თუ კი ეს სამღვდლო პირი სემინარიის პროგრამისამებრ არის მომზადებული, მაგრამ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ ზოგიერთებს. რომ

სემინარიაში კურს დამთავრებულია 19—20 წ. უმაწვილმა შეიძლოს ის, რასაც შეიძლება 30—35 წლის სემინარიელი მღვდლად ნაკურთხი.

ზოგიერთები ამბობენ, რომ უწინაც სემინარიელებს კურსის გათავებისთანავე აკურთხებდნენ ხოლმე მღვდლად. მაგრამ ამ პირთ ავიწყდებათ, ან სრულებით არ იცნან ძველი სემინარიების და სასწავლებლობის წეს-წყობა ლეზა. ძველ დროში სემინარიებში და ოთხ-კლასიან სასწავლებლებში მცირე წლოვან უმაწვილებს არც კი იდებდნენ, რადგან ამ უმაწვილებს სამღვდლოდ ამზადებდნენ. 15 წლის უმაწვილს შეიძლო სასწავლებლის პირველ კლასში შესვლა და კურსს ათავებდა 27—28 წლისა. ამ ასაკში გაცი, ვინც ენდა იყოს იგი, უფრო ხასიათ შემუშავებული და დამდგარია ჭკუაზე. განსვენებული გრაფ ტოლსტოის წესდებულებით დღეს ისე გამოანგარიშებული უნდა გქონდეს სასწავლებელში მისაღები უმაწვილის ხნობა, რომ საჭიროა კაცმა ურადღება მიაქციოს გვირგვინის კურთხევისა. თუ ბავშვი აგვისტოს დამლევს არ დაიბადა და პირველ კლასში შესვლის დროს წლოვანებას რამდენიმე თთვე მოემატა, შემდეგ ძნელა მისი კლასში მიცემა. პირველ კლასში მისაცემი უმაწვილი უთუოდ 10—12 წლის უნდა იყოს. 10 წლის უმაწვილი რომ უოველ წელიწადს ერთი კლასიდან მეორეში გადავიდეს, სასწავლებელში და სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ იქნება 20 წლისა. მაგრამ ნაკლები წლასაც ბევრი ათავებს დღეს სემინარიას. 20 და 22 წლის უმაწვილი ათავებს სემინარიის კურსს, მინ ბრუნდება, ჯვარს იწერს და შემდეგ კურთხევისა მღვდლად ენიშნება იგი მრევლს. ამ ახალგაზდა სემინარიელის ჯვარის-წერა და მღვდლად კურთხევა ხშირად სულ ორ კვირაში თავდება. ვინ არ იცის, თუ რა მტკიცე ზნეობის და ხასიათის მექანება 20 წლის უმაწვილი! ცოტა რამ უსაზომოვნება, ცოტა რამ მომეტებული პრობა ისენაირად მოქმედებს ამ უმაწვილ მღვდელზე, რომ იგი მოთმინებისაგან გამოდის. მრევლი და მღვდელი ერთი ერთმანეთს გაოცებული შესცქერიან. 80 წლის მოხუცებულს კაცს ზნეობითის მხრივ დარჩებას აძლევს 20 წლის კაცი! 8—10 წ. განმავლობაში, სანამ უმაწვილი სემინარიელი

მღვდელი გამოცდლებას შეიძენდა, დიდს რუკასა და უბედურებაშია როგორც თვითონ მღვდელი, ისე მისი სამრევლო. ბოლოს, თუ ეს სემინარიელი მღვდელი ერთი სამრევლოდამ მეორე სამრევლოში გადასვდა-გადმოსვლას არ მიჩნობა, როგორც იქნება ეჩვევა მრევლს და მრევლს თავის მხრით ემოწოდება მასს. მაგრამ იმას რატომ არ ვაქცევთ ურადღებას, თუ ამ ხნის განმავლობაში რა ღვარდნი ითვისება ქრისტეს უანამი?

ამბობენ, რომ დღეს სემინარიებში სწავლების საქმე ბევრად გაუძეოხესებული არის კლასიკური ენების წყალობით. ქრისტიანობის პირველს ხანებში ზოგიერთები ღაათინურ ენაზედ სწავლობდნენ უველა საგნებს ჭ ღაათინურად თავსუფლად ღაპარაკობდნენ, მაგრამ მღვდლად არავის აკურთხებდნენ 30 წლამდე. ინგლისში ჭ რომში ღაათინურიენა სამღვდელო პირებმა ზედმიწევნით იციან და არა თუ სემინარიის კურსს, არამედ უმაღლეს სასწავლებლებს ათავებენ, მაგრამ სამღვდელო პირს არ ანიჭებენ მრევლს და ქადაგების ნებას, სანამ 2 წლის მსახურების ჭ გამოცდის შემდეგ კიდევ ხელახლად არ გამოცდიან სამღვდელო პირს უველა-ფერში. ახლად ნაკურთხნი მიბარებულნი არიან გამოცდით მღვდლებზე და მათი ჩვენებით და ხელმძღვანელობით იცდებიან პირველნი ორი წლის განმავლობაში.

ამბობენ, ეხლა სემინარიაში ქადაგებას ასწავლიან და ამ ქადაგებით დიდი სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ სემინარიელმა მღვდლებმა სამრევლოსო. ღმერთმა ინებოს, მაგრამ არ გვჯერა, რომ სემინარიებში დღეს ასე მშვენიერად ასწავლიდნენ ქადაგებას. შეტერბურგში თავი აქვს მოურიდიო ჩინებულ მქადაგებელთ ჭ იმას ფიქრობენ, თუ რა ღონე და ხერხი იხმარონ, რომ ქადაგებითი სიტუვა რიგინად მოაწყონ. მუდამ გვახლოვს ერთი პატივსაცემი პირისაგან ნათქვამი სიტუვები, რომელიც ამ პირმა წარმოსთქვა სამღვდელოების ერთ ყრილობაზე: „პირველად რომ მიველი და ვნახე რ—ჭა, სთქვა ამ პირმა, ვიფიქრე, სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანები აქ ყოფილან-თქო, რადგან შევნიშნე ხალხში სიყვარული, ძმობა, მეგობრობა,

სარწმუნოება, სასოება და ღვთის სიყვარული. უველა ეს თვისებანი მტკიცედ იყო მათში დამკვიდრებული. 25 წელიწადია, რაც მათ უქადაგებ და ვემსახურები. ამ უკანასკნელ დროს იგინი ვეღარ ვიცანი დღეს ეს ხალხი წინანდელს ხალხს აღარ ჭგავს; სარწმუნოება და ჭნეობა მათში შესამჩნევად დამცირებულია. რაისაგან არის ეს? აღბად ჩემი ცოდვისაგან. ხალხში სარწმუნოების და კეთილ-ჭნეობის განმტკიცებას და ამაღლებას, რასაკვირველია, ბევრი სხვა რამ მიზეზიც უწყობენ ხელს, რომელნიც მარტო სამღვდელოების სამსახურზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს მარტო ქადაგებითი სიტუვებისა, რომელნიც ხშირად უოველივე გრძნობას არიან მოკლებულნი. სამწუხაროდ, ჩვენ უველანი სიტუვას ვაქცევთ მომეტებულს უურადღებას და საქმეს კი არა. მუდამ ვივიწყებთ, რომ საწმუნოება, თვინიერ საქმასა, მკვლახ ახს. კიდევ ვერ შეგვიგნია ის ჭეშმარიტება, რომ კაცს ხშირად უფრო ბევრს ასწავლი შენის კეთილის ცხოვრებით, ყოფა-ქცევით და ქრისტიანული საქციელით, ვინემ სიტუვა-ქადაგებით. განა უმაღლეს სასწავლებლებში ჭქონდათ კურსი შესრულებული იმ წმიდა მამანებს და ძველი დროის შესანიშნავ მღვდელ-მთავრებს, რომელნიც დღესაც ბრწყინავენ როგორც ანთებულნი ღამპარნი? სრულებით არა. განა მათ შეეძლოთ იმდენი ქადაგება, რამდენიც დღეს შეუძლიათ ზოგიერთებს? დღეს ზოგიერთები მშვენიერ მჭევრმეტყველურ ქადაგებას თითქმის 2 საათი განაგრძობენ. ძველ დროში კი ორიოდე სიტუვას იტუოდენ ჭ გამრიყო. მაგრამ ძველ დროში ენით ცოტას ღაპარაკობდნენ და თავის წმ. ცხოვრებით ბევრს ქადაგებდნენ. რასაკვირველია, ძველ დროშიაც იყვნენ მქადაგებლები... მათი ქადაგება უმეტესად მითია შესანიშნავი, რომ გაბედულად ებრძოდნენ უსამართლეობას და სიბრუნდეს. უოველ სიტუვა-ქადაგებაში მათ ჭქონდათ სახეში იესო ქრისტი ჭვარცმული ჭ მისი სახარება. მზათ იყვნენ უოველივე ტანჯვა მიეღოთ სახარებისათვის.

აქა. დ. ღამაშიძე.

მიტროპოლიტი დავითი.

(გაგრძელება *)

ბეკრი საინტერესო და საუფრადულო მოთხრობებისა დაწვინილი იმეკეთში და სამეგრელოში დავით მიტროპოლიტზედ. ჩვენის აზრით უდგილო არ იქნება, რომ ზოგიერთი ეს მოთხრობები ბეჭდითი სიტყვის საშუალებით დარჩეს მომავალს თაობას.

მიტროპოლიტი დავითი, თუმცა მას სასწავლებელში არ ჰქონია სწავლა მიღებული, მაგრამ როგორც ზემოთაც მოკისრენიეთ ბ. გლ — ის მოთხრობიდან, დიდად დაჯილდებული იყო ბუნებისაგან გაგებით და ჭკუით. როდესაც მათი მეუფების ზოგიერთ განკარგულებას კითხულობთ, აღტაცებაში მოდისართ. საზოგადოდ მიღებულია, რომ მღვდლად ან მთავარ-დაიკვნად საკურთხეპიარ უოკელივე ცნობას ჰქრბენ. მიტროპოლიტი დავითი ჯერჯერ ცნობათა გარდა ითხრობდა მოკისრენიებით მისი მეუფებისათვის, თუ როგორი მშრომელი და მეოჯახე იყო მღვდელობის ან მთავარ-დაიკვნობის მოთხოვნელი პირი. თუ მათი მეუფება შეიტუობდა, რომ მღვდლად ან მთავარ-დაიკვნად საკურთხეპიარ პირი უარმადი და მტრანაჲ იყო, მას უარს ეუბნებოდა კურთხეპიარად. უარმადობა და მტრანაჲობა საზოგადოა, როგორც ერის კაცისათვის ისე სამღვდლო პირისათვის, იტყოდა ხოლმე მათი მეუფება. ჩვენში მღვდელს არ შეუძლია მარტო მრევლისაგან შემოსავლით იცხოვროს, თუ თვითონაც არ იმშრომოს; მშრომელი კაცი უოკელთვის კეთილის ზნისა აჩის, ხოლო უარმადი უოფაქტეობათ არ ვარცა. იგი კარგი მღვდელი არ იქნება. ხშირად სწორედ ამ სიტყვებს აწერდა განსვენებული დავითი საკურთხეპიარ თხოვნებზედ. იუვენ და დღესაც ბეკრი აჩის, რომელიც ფიქრბენ, კითხვებ შრომა და მეოჯახეობა ამაღლებდეს მღვდელს საზოგადოების თვალში და მის ზნე. ჩვეულებაზე ცუდი გავლენა ჰქონდა. ეს აზრი ძლიერ შემცდარია. დააკვირდით სამღვდლოების მდგომარეობას და მალე დაწმუნდებით, რომ ზნეობითად ეს წოდება უფრო მძლავრად სდგას და უფრო პატივცემულია სამოკლესოთაგან იქ, სადაც სამღვდლო პირნი უფრო მშრომელნი და მეოჯახენი აჩიან. დააკვირდით ქალაქის და

სოფლის მეოჯახე მღვდლებს. ყველა ადგილად მიხედება, რომ სოფლის მღვდელმა სრულებით არ იცის-აჩის მრწენილობა, რადგან მუდამ საქმეშია გართული და არ საჭიროებს უბრალოდ დროება გაატაროს. ქალაქების მღვდლები კი მუდამ მრწენილობას კიდურჩიან.

დავით მიტროპოლიტის დროს იყო ერთი ჩვეულება, რომელიც ბეკრი დღესაც აჩისობს. ეს ჩვეულება იყო «მძღვნობა». მძღვანად მარაპეკვერ ხოლმე მღვდელ-მთავრებს რჩ-სამ ცხაკა ზუჭს, ხეო-ეჭის ფეო კი ღვინოს და ან ნაკლებს, ხსნილში ქათამს, ცხაკას ან ძროხას და მარცხაში თევზეულობას. მძღვნის მამ. ტანი პირი უთუოდ ზუჭას საჭმელად იქნებოდა ხოლმე მიმართუებული. ამ სახათ ბეკრი მძღვენი მადროდათ უწინდელს დროში მღვდელ-მთავრებს და მათთაც საშუალება ეძლეოდათ გარკვე პირნი მაკმატიყნათ სადალად ან გასმად. რადგან დღეს ხალხი უფრო განათლად და უფროსებიც დღეს ნასწავლნი და განათლებულნი პარნი აჩიან, უწინდელი «მძღვნობა» თანდათან ისპობა, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ ადგილას დღეს რძღვენი ფეო-ზედ შეიტყაა.

ზოგიერთები ამბობენ: როგორ ჰყადრობდა მარტროპოლიტი დავითი მძღვნის მიღებასო? რა უნდა ვსთქვათ იმ კაცზე, რომელიც მძღვენს იღებსო? აქ გასაკვირი აჩისფერია. მძღვნობა იყო დროის საქმე. მართლაც, მიტროპოლიტი დავითი მძღვენებს იღებდა, მაგრამ მძღვნით არც აჩივას ჩავრავდა და არც აჩივას აწინაურებდა. ხლა მიავსედ-მოკასედოთ და შეკიტყოთ, თუ რა ჩვეულება იყო სხვა მხარეებში. უწინდელს დროში რუსეთში ეპარქილურ კანცელარებში მოსამსახურეთ ძლიერ მტრე ჯამაგირები ეძლეოდათ, ამიტომ ახლად ხელდასმეფოთ ას-ასი მანეთი უნდა გადაესადათ კანცელარებში მოსამსახურე პართა სასარგებლოდ. ბეკრი ამისთანა ახივებელი ჩვეულება იყო ნაგურთხი და ნებადართული დროებისაგან. მაგრამ ის არს სამწუხარო, რომ ზოგან დღეს მძღვნობაც აჩის და ფეოლის გარდასდევინება.

ერთი საკვირველი ამი ჰქონდა მიტროპოლიტს დავითს. მისთვის სრულიად საგმარ იყო, ერთი ახივდავსება კაცისათვის, რომ მასზე სრული აზრი შედგინა. მართლაც აჩიან ისეთნი პირნი, რომელნიც მშროლოდ ერთი შეხედვით ტუობილობენ კაცის ღირსებას და ნაკლუფევენებას. სწორედ ასეთი გამჭრიახე გონების მქონე პირთა რიცხვს ეკუთვნოდა განსვენებული მიტროპოლიტი დავითი. აი ფაქტებიც: ერთხელ მიტრო-

* იხ. «მწეოში» № 7, 1892 წ.

ზოგადი დაუთმობი მიხედნდა ს. შ—შა, მოიკითხა მო-
კრ. დიკანო, რომელიც იმ დროს მღვდლად უნდა
ეკურთხებოდა. მათ მეუფებას მოასვენეს, რომ სხენებუ-
ლი დიკანო უკვე გაქცეულიყო. მათ მეუფებას ეს
ძლიერ სიმწუხრედ დაუჩნა. ამ დროს იქვე შენაშნა
ერთი კაცი და ბრძანა: «სწორედ ეს კაცი, აქას კაი
სამღვდელო შიში, რომ მომზადებული იყოს საღმრთო
წილისათვის». ამ შიშით თუმცა საღმრთო წილი იცოდა,
მაგრამ მღვდლად კურთხევის ან თვითმკვლელობა. მათ მეუფებას
მოასვენეს, რომ იმ შიშით საღმრთო წილი იცოდა.
მათი მეუფებამ მაშინვე დაიბნა ეს კაცი, აკურთხა იგი
ქვე მთავრად და მერე მღვდლად. ღმერთმა ინებოს,
რომ ეს ღმრთილი დროის მღვდლები იყვნენ ისეთი მტკიცე
და პატიოსანი ხასიათისა და შეუვალებელი თავიანთ
სიმწესოვრისა, როგორც იყო მიტროპოლიტი სანა-
სტოვად აღჩეული და მღვდლად ნაკურთხი შიში.

მეორე ფაქტი: მიტროპოლიტთან მივიდა ერთხელ
რძენით ერთი კაცი, რომელიც მღვდლად კურთხევის
ცდილობდა. ეს კაცი ძლიერ კარგი წამოსადეგი იყო და
ძლიერ გრძელი წვერები ჰქონდა. მიტროპოლიტმა
ასე დასწავა ამ კაცს და ბოლოს უბრძანა, რომ
მას ღამე გაეთათ მის მოსამსახურესთან და დილას
სხდებოდა მის მეუფებას. ამ კაცმა მიიღო ლოცვა-კურთ-
ხევა მიტროპოლიტისაგან და წავიდა მოსამსახურესთან
ღამის გასათევად. მოსამსახურე სშირად დადიოდა მიტ-
როპოლიტთან და როცა იქიდან ბრუნდებოდა უბან,
ეს გრძელ-წვერ კაცი კვითხებოდა მოსამსახურეს: «ბა-
ტონს ხომ არასიყვრის უბრძანებია ჩემს შესახებ, მოკ-
წონვარ მე, თუ არა?» ამ კაცის სიტყვებმა შეაწუხა
მოსამსახურე და მართლა, როცა მიტროპოლიტთან
შებრუნდა, გაბედა და სთხოვა მათ მეუფებას, თუ რა
შთაბეჭდილება მოახდინა მათ მეუფებაზე იმ გრძელ-
წვერ სამღვდელო შიშით. «მე კატეობ, ბრძანა მიტრო-
პოლიტმა, რომ ის გრძელ-წვერ კაცი, რომელიც მღვდე-
ლობას მთხოვს, მოხერხებულ უნდა იყოს. მე შენიშნუ-
ლი მაქვს, რომ მომეტებული გრძელ-წვერისა უფრო
მოაზრუნებენ».

მოსამსახურე გამოვიდა და უკვლავიერი საიდუმლოდ
გაქცა ამ გრძელ-წვერს. მასის საწყენად დაუჩნა ეს
ამბავი, მაგრამ რას იზამდა. ცოტა ხნის მოფიქრების
შემდეგ მან მოიგონა ერთი ხერხი თავისი გრძელი წვე-
რების დასამოკლებლად. მაგრატილით წვერის შეკრუ-
ვეს გაბედა, შემატყუებინა და სანთლით მოწვა ამჯო-

ბინა. მოიშვეტა წვერები მხენებელი და ცეცხლის თით
და რაც შეეძლო იყო, სანთელი მოუკიდა, რომ მოეჩუქა.
სანთელი წავედრა ძირს დაწვნილ წვერებს და მისცა
ალი ხელს. მან ხელი მოაშორა წვერის ალს. და ამ
დროს უცნაურად ალი ეკთბაშად შეუვა წვერებს და თავის
თმას. მოსამსახურე მივარდა ამ კაცს, მაგრამ საცოდავს
წვერ უფაში და თავის გაზრდილი თმა სულ დაეწვა.
შიშველ მაშლის ყივილზე ეს კაცი ისე გაიშრა შინ,
რომ აწვიის გაუგია მისი ასაკად-დასაკალი. 8
სანთელ მიტროპოლიტმა მოიკითხა ეს გრძელ წვერ
მოსამსახურის შიშით, მაგრამ იგი იქ აღარსად იყო.
როდესაც ეს ამბავი მოსამსახურემ მოასვენა მიტროპო-
ლიტს, მათი მეუფება გაუგავრდა მოსამსახურეს, თუ
რად გადასცა ამ კაცს მისი ნაბრძანები. «მე კატეობდი,
ბრძანა მან, რომ ეს სულელი იყო, მაგრამ შენ წით
უთხარი მას ჩემი ნაბრძანები». დიას, მიტროპოლიტი
დიდი ნაწყული კაცი არ ყოფილა, მაგრამ ღვთისაგან
მიმადლებული იყო ნიჭით და მშვენიერი მიმსდევრობით
და სამღვდელო შიშების აღჩევაში არასოდეს არ სცდ-
ბოდა. მართლაც, როგორც კაცების თხოვნას მღვდლად
კურთხევის შესახებ უწოდებდას აქცევდა, მაგრამ თავის
მწველ-მთავრულ შესდევლებსაც დიდ უწოდებდას აქცევდა
და უდიდეს კაცად თხოვნას გამოუგლეკლად მთხო-
ვლის ხასიათისა და უფაქტევისა არ იღებდა. უკვლამ
მის ხასიათსა და თვისებათა შორის, ჩვენის აზრით, შე-
სანიშნავი, მოსაწონი და საქებია ის, რომ მღვდლად
კურთხევის საქმეში მიტროპოლიტი არასოდეს უწოდ-
ებდას არ აქცევდა თავიანთ ნათესაების და ნაცნობის
თხოვნას. არ მომხდარა არასოდეს, რომ ფულების ანუ
რამე შეწირულების ანგარიშით კაცი ეკურთხებოდა. იმ
დროში, მართლაც, რძენობა იყო, მაგრამ, როგორც
ზემოდ მოკისხენეთ, ეს ჩვეულება იყო დროებისა და
არც ისე ცუდი მნიშვნელობა და ზნეობის დამცემი
გაგენა ჰქონდა ამ რძენობას, როგორც დღეს ფიქ-
რობენ. უნდა სახეში მივიღოთ შემოსავალი და ცხოვ-
რების საშუალება ეპისკოპოსთან იმ დროებაში. დღეს
უკვლად სამღვდელოებს, როგორც ადგილას, განსაკუთ-
რებით რუსეთში, სუთი ათასიდან რვა ათას მანეთამდე
აუღის სხვა-და-სხვა წყაროებიდან წლიური შემოსავალი
ფული. ამდენი შემოსავლიანი კაცი განა იკადრებს შენს
ერთ ცხრა პურს და ერთ დოჭ ღვინოს? საზოგადოდ
უკვლად მღვდელ-მთავრის წირვებისგან შემოსავალს გარდა
თითქმის 5000 მანეთამდე აქვს წლიური შემოსავალი,
ნამდვილი და ნადაგი. მოსკოვის მიტროპოლიტმა მაკა-

რომ ორასი-ათას მანეთის შეწირულება დასტოვა საეკლესიო შემაღლე. იმას მამულები კი არ ქონებია, — მღვდელმთავრობაში შექნილი ფულებიდან შედგა ამდენი ფული.

წინანდელი შესხდულება ეპისკოპოსების წარდგინებაზე და მათ ჟამაგიერზედ სულ სხვა იყო და დღე-განდღე — სხვა. წინეთ ეპისკოპოსები ბევრი იყვნენ, მაგრამ იმდენი ქონდათ დანიშნული საცხოვრებლად, რომდენიც საჭირო იყო მათი ცხოვრებისათვის. დღეს მათი რიცხვი ძლიერ შემოკლებულია. ჩვენს საქართველოში 40—60 მაგიერ დღეს ხუთი და ისინიც გარდა ერთისა იმ ფულებით კერ განაგებენ თავიანთ სამწყვსს, რა ფულებითაც წინედ მართავდნენ. მართალია, ესეა ეკლესიის მღვდელმთავრები უზრუნველ უფადიანი არიან საჩხრის და საზღვრის მხრით, სრული და საკმარისი ჟამაგიერები აქვს და ძველი უბრალო ხის სახლების მაგიერ მშენიერი სასახლები აქვს გამართული, მაგრამ ამ ახალი წესწესობის ნაყოფს ერთი საუკუნის შემდეგ შეინიშნავთ და გაიგებთ.

(შემდეგი იქნება).

ქუთაისში წიგნების გამომცემის ამხანაგობის დაარსებისა გეგმა.

როგორც ჩვენი სხეულის არსებობისათვის საჭიროა სასმელი და საკმელი, ისე გონებისათვის საჭიროა საზრდო. ჩვენი გონებისაზრდოს შეადგენენ წიგნები, რომელთა მეოხებით კაცის გონება მოძრაობს და მოქმედებს. წიგნების კითხვით კაცს უფართოვდება და უფითარდება გონება. დღეს, მაღლობა ღმერთს, ეს ტენდენცია შეგნებული აქვს არა მარტო საზო-

გადობის განათლებულს ნაწილს, არამედ უსწავლელსაც. ჩვენს ხალხში დღეს შეტად გავრცელებულია წიგნების კითხვის სურვილი, მაგრამ ეს სურვილი ხალხსა ვერ კმაყოფილდება წიგნების უმეტესობისა გამო. რამდენს ენატრება ჩვენში ქართული წიგნების წაკითხვა, მაგრამ წიგნები ვერ უშოვნია, რომ წაიკითხოს. მართალია, ბევრი რამ აქვს ჩვენს მწერლებს ნაწერი და ნათარგმნი, მაგრამ ყველა ეს ნაწერები და ნათარგმნები გაბნეულია სხვა-და-სხვა ჟღერალ-გაზრდებში. ვისაც შეუძლია ამ ჟღერალ-გაზრდების მოპოება, მას ამ ნაწერების წაკითხვაც შეუძლია, ხოლო ღარიბი ხალხი მოკლებულია ამ საშუალებას და ამიტომ ვერც ჩვენი მწერლების ნაწარმოებს აღეგნებს თვალს. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი მღვდლო ხალხი ასე ეტანება ანაბეზილობის, ნადიროვის და სხვათაგან გამოცემულ უაზრო ლექსებს და ზღაპრებს.

ჩვენი განათლებული ახალგაზდობა დიდი ხანია გრძნობს, რომ საჭიროა იბეჭდებოდეს ჩვენი მწერლების და თარგმანების სრული გამოცემანი და ვერცელებოდეს ხალხში, მაგრამ კერძო პირს ამ საქმის თავზე მიღება არ შეუძლია. ამ საქმისათვის საჭიროა ფული. კერძო პირს კი, ვინც უნდა იყოს იგი, იმდენი საშუალება არა აქვს, რომ თავის საშუალებით სცეს და ბეჭდოს წიგნები. ამ საქმისათვის საჭიროა ამხანაგობა, რომ შეერთებული ღონით და საშუალებით ბეჭდოს წიგნები და ავრცელოს ჩვენს ხალხში, რომელსაც წიგნის კითხვა სურს, მაგრამ წიგნი კი ვერ უშოვნია სასყიდლად.

ამიტომ სწორედ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩათვალოს ქუთაისში წიგნების ბეჭდვის ამხანაგობის დაარსება. სულ რამოდენიმე თოვეა, რაც ზოგიერთი ჩვენი ნაწევლი ახალგაზდების მეთაურობით შედგა ესეთი ამხანაგობა. თითოეულმა წევრმა ამხანაგობისამ უნდა შეიტანოს საზოგადო თანხის შესადგენად 25 მანეთი ერთ დროებითად. ამხანაგობის წევრად შეუძლია ჩაეწეროს ყველა, ვინც კი ისურვებს. იმედი

გვაქვს, რომ ბევრი ჩვენი სემინარიელი მღვდლები ჩაწერებიან წევრებად ამ ამხანაგობაში. მიზანი და დანიშნულება ამ ამხანაგობისა ვრცლად არის გამართული ერთ იმ სიტყვაში, რომელიც ამ ამხანაგობის ერთ კრებაზე წარმოასთქვა ამხანაგობის თავმჯდომარემ ბატ. ა. გარსევანაშვილმა. აი ეს სიტყვა:

„პირველი ნაბიჯი, დასაწყისი განზრახული საქმისა, ყოველთვის მოხერხებულს შევთხვევას გვაძლევს, განვმარტოთ ის მიზანი, რომელსაც უნდა პირადღენ ის პირნი, რომელნიც სდგანან ამ ახლად განზრახული საქმის სათავეში. ეს ახალი საქმე, რომელსაც ჩვენ, ყველა აქ დამსწრეთ, უნდა შევსწიროთ ვალდებულ სამსახურისაგან თავისუფალი დრო, არის წიგნების ბეჭდვის ამხანაგობა. რაში მდგომარეობს ამ ამხანაგობის მიზანი და მოვალეობა? რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ამხანაგობას, რომელ ბოროტებას უნდა ეწინააღმდეგოს იგი?—აი კითხვები, რომელნიც ითხოვენ განმარტებას. მე, რასაკერძოვლით, სრულად არ შემიძლია განვმარტო ეს კითხვები, მაგრამ, ეგონებ, ნებას მიბოძებთ, რომ ამ საქმის შესახებ წარმოვსთქვა რამოდენიმე ჩემი მოსაზრება.

ამ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წევრებად შეუძლიანთ იყვნენ ყველა მოქალაქენი, რომელნიც კი შემოიტანენ 25 მანეთს ერთ დროებათად. ამ ამხანაგობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საზოგადოების ყველა წოდებას და უწყების წარმომადგენელთ; მაგრამ ამ სხვა-და-სხვა პირთაგან შემდგარს წრეს მიზნად აქვს მკრად სასარგებლო და საპატიო საქმე: საზოგადოების ყველა წევრნი გამსჭვალულნი უნდა იყვნენ ერთი აზრით, უნდა ბეჭდონ წიგნები, გაავრცელონ ხალხში სასარგებლო ცოდნა და ამით ხელი შეუწყონ ჩვენი ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. მაგრამ საქმე იმაშია, თუ ამ ამხანაგობამ მწერლობის რომელი ნაწილს უნდა მიაქციოს

ყურადღება? რაგვარი წიგნების ბეჭედაა საჭირო? ამ კითხვაზე მე ვიძლევი შემდეგ გადაჭრილს პასუხს: ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება მივაქციოთ ეგრედ წოდებულს სახალხო მწერლობას. ჩვენ უნდა ვბეჭდოთ სახალხო წიგნები. მე მომეტებულ მნიშვნელობას ვაძლევ ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებათა ბეჭდვას. სწორედ ამგვარ ნაწარმოებთა ბეჭდვა შეადგენს ჩვენი ამხანაგობის პროგრამას, მაგრამ მე, მაგონია, რომ უფრო კარგი იქნებოდა ჩვენი მხრით, თუ ჩვენ ავირჩევთ ლიტერატურის რომელიმე განსაკუთრებულს ნაწილს. უმჯობესია ერთ რომელიმე საქმეს მოვკიდოთ ხელი და როგორც რიგია აღვასრულოთ იგი, ვინემ ბევრს მიეცოთ ხელი და ცოტა კი გაეცეთოთ. ჩემი მხრით, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენე, საუმჯობესოდ ვხედავ ვებეჭდოთ უფრო იათ-ფასიანი სახალხო წიგნები, კალენდრები, არაკები, სიმღერები და ამის მსგავსნი. ხალხის საკითხავი წიგნების ბეჭედა შეადგენს ერთ უმთავრეს საზოგადო საგანს საზოგადოებისას. პატივსაღებნი პირნი, რომელთაც დაახლოვებით იციან ჩვენი ხალხი, ერთხმად მოწმობენ, რომ წიგნების კითხვის სურვილი თან-და-თან ვრცელდება მღაბიო ხალხში და ხდება მის სულიერ მოთხოვნილებად. ამ კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ, რომელიც ამავე დროს უქადის კაცს კარგ შემოსავალს, წააქეზა მრავალი პირი, რომელთაც, თუმცა საქმის არა გავრცებათ-რა, ხელი კი მოჰკიდეს წიგნების ბეჭდვის საქმეს. გამოჩნდნენ ახვატელოები სკანდაროები და ნადიროვები, რომელნიც ბლომად ბეჭედენ რაღაცა ზღაპრებს და ლექსებს, რომელთა კითხვა ნაკელად სარგებლობისა, დიდ ფნებას აძლევს ჩვენს ხალხს. ხალხიც კი გრძნობს ამას, მაგრამ რა ჰქნას, რომ სხვა უფრო კარგი წიგნები ვერ უშოვნია!

ეს ახვატელოები და მისი მსგავსნი რომელიმე წიგნის გამომცემის დროს სრულგებით ყურადღებას არ

აქცევინ არც ენას და არც წიგნის შინაარსს. და ან კი როგორ მოთხოვ მათ ამბებს, როდესაც იგინი გონებითა და ზნეობით ძირსა სდგანან იმ მდაბიო ხალხზე, რომელსაც სხვა-და-სხვა წიგნებს უბეჭდვენ და აძლევენ საკითხავად.

ამ ქუჩის ლიტერატორებისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნაკები დიდის სისწრაფით ვრცელდებიან ჩვენი სამშობლოს ქალაქებში და სოფლებში. როცა ამ უმართებულო წიგნაკებს კითხულობთ, თავზარი გეცემათ და სული გიწუხსთ, რადგან ამ წიგნაკების მეოხებით ჩვენი მდაბიო ხალხის სულსა და გონებაში ერთი ორად ფეხს იკიდებს უაზრობა და სხვა-და-სხვა ამაოდ მორწმუნეობა. ყველასათვის ცხადია, რომ ამ უმცავეს ნაწერებით ჩვენი ხალხი ირყენება და გონებით მახინჯდება. მეორეს მხრით ამისთანა მწერლების და მათი ნაწარმოების მეოხებით ჩვენი ხალხური სიმღერები ჰკარგვენ თავინთ ხასიათს; ჩვენს ლირიკულს სიმღერებს ეკარგებათ შინაარსი და კილო და მათ ნაცელად გესმისთ «ვაი, დედავ, მე-შინია» და სხ. ჩვენი ძველი ლექსების და სიმღერების ადგილს იჭერენ ვილაცა ლაქიების და მელუქნეების ნაჯღაბნები.

დიდი ხნიდან საჭირო იყო წინააღმდეგობა გაგვეწია ამ ანორმალურ მოვლენისათვის, საჭირო იყო ძირშივე ამოგვეფხვრა ის გამრყენელი ზედგავლენა, როგორიც აქვსთ ამ გაუნათლებელ და წერაკითხვის უცოდინარ პირთა და მათ ნაწერების გამოცემელთ მდაბიო ხალხზე, ხომ ეს ასეა, მაგრამ ამ მხრით რა შემწეობა აღმოუჩინეთ ხალხს? გავაკეთეთ რამე ჩვენ? მგონია, არაფერი. ამიტომაც არის, რომ ჩვენი გაუნათლებელი ხალხი, რომელსაც სურვილი აქვს წიგნების კითხვისა და ხეირიანი წასაკითხი წიგნები კი ვერ უშოვნია, ძალა-უნებურად აკმაყოფილებს ამ თავის კანონიერ მოთხოვნილებას ზემოდ აღნიშნულ პირთა ნაჩაბნებით. ნუ თუ ჩვენ ასე გულგრილად უნდა უცქიროთ, როცა ამისთანა უარგისი და ხალხის ზნეობის გამრყენელი წიგნაკები

ვრცელდება ხალხში? ნუ თუ ჩვენი ნასწავლი ახალგაზღვა არ მიეშველება ხალხს და არ მოსპობს ამ ბოროტებას? დროა გამოვიფხიზლოთ, დროა შევისწავლოთ ის მაინც, რასაც თვითონ ცხოვრება გვიყენებს წინ.

ჩვენი ახალგაზღვა და ახლად დაარსებული ამხანაგობანი დიდს სამსახურს გაუწევინ თავის სამშობლოს, თუ ხალხს თავის ხელით მიაწვდენენ ჯეროვანს სულიერ საზრდოს. ჩვენს საქართველოში ბევრი განათლებული პირები მოიპოვებინ, რომელთაც ხელს უწყობს ცოდნა და განათლება და მასთან მზათვ არიან უანგაროდ ემსახურონ ხალხს და მეგონია, რომ ყველა ეს პირნი დიდის სიხარულით მიეგებებიან ჩვენგან დაწყებულს საქმეს. ხალხისათვის სასარგებლო გონებითი საზრდოს მიწოდება საღმრთო მოვალეობაა განათლებულ პირებისა. ეხლა ხელი მიეყოთ ამ მოვალეობის აღსრულებას და ნუ მიესცემთ ამ საქმეს დაეიწყებას, როგორც ეს ხშირად გვემართება ხოლმე ბევრს საქმეში. როგორც ხედავთ, საჭიროა ეხლავე მიეყოთ ხელი ამ საქმეს. ფაქტები გვიმტკიცებს, რომ მდაბიო ხალხში ყოველ წლებით მატულობენ წერა-კითხვის მცოდნე პირნი და ეს პირნი დღითიდღე საჭიროებენ სულიერ საზრდოს, რომელიცაც დღემდე ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით. ყოველივე ის, რაც კი ვაკეთებულა ხალხის ამ კანონიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე მცირეა მასთან შედარებით, რაც უნდა ვაკეთდეს და რისაც ვალდებული ვართ, რომ თქმათ არა ღირს.

ჩემის აზრით სხვა-და-სხვა სახალხო წიგნების გამოცემა და მათი გავრცელება ხალხში მეტის-მეტად კარგი საქმეა და ეს საქმე ღირსია თანაგრძნობისა და ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალი ამხანაგობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩემს წინადადებას.

საისტორიო მასალა.

სია ახსენების კათალიკოზთა (+)

(1389—1796 წ.)

(გაგრძელება *)

ზაქარია 1657—1659 წ. ქვარიანი. წინადა გენათელი. რსმალთა მძლავრებისა გამო შვიის ზღვის მიდამოებში, ამა ზაქარიას უამს (1657 წ.) საკათალიკოზო ტახტი ბიჭვინტიდამ გადმოტანილ იქმნა გელათში, სადაც ზაქარიას მიიგვალა და ასაფლავია დიდი ტაძრის ჩრდილოეთ სამწირველო კარის-ბეჭეში; მისი საფლავის ქვა დღესაც მოჩანს. იყო დიდი მოყვარე მწიგნობრობისა; ამის გენათლობას აკისრებდა წყალობითი შესანიშნავი გულანი დიდოს მონასტრისა.

სიმეონ I. 1660—1666 წ. ჩხეიძე. გოგნებ ესე იყო უფროსი მამა სასლთხუცესის სეხნის ჩხეიძისა.

დავით 1666—1676 წ. 1682—1705 წ. ნემსაძე. წინადა შემთხვევისათვის მალე დაამხეს კათალიკოზობიდან; შემდეგ ისევ აღიფრანკეს. ამან აკურთხა მიტროპოლიტად შემოქმედელი იაკობ დუმბაძე 1682 წ.

ევდემოს II. 1667—1669—1700 წ. საყვარელიძე. კაცი მდიდრის სათნოებისა, მწიგნობარი, აღმწერი საკათალიკოზო კანონთა.

ევთიმი II. 1669—1674 წ. საყვარელიძე. ამის ბრძანებით აღიწერა ცაიშის გულანი იმ თთვესა; იყო მომხრე ბაგრატ იმერეთსა მეფისა.

სიმეონ II. 1675—1681 წ. ძე სეხნის ჩხეიძისა, თანამოაზრე ნაბეჭაღის გიორგი აბაშიძისა. წინადა ქუთათელი. (Гуджары 147 გვ.).

ნიკოლოზ 1705—1710 წ. ამან აღწერა განმარტება საღმრთოთა წერილთა და ისტორიისა; უკანასკნელ დაამხეს კათალიკოზობიდან მსილგებისათვის ქრისტიანებრივ წესთა გარყვნისა დადიანისაგან და სხ.

გრიგოლ II. 1700—1742 წ. ბეჟან ლორთქიფანიძის ძე. ამან შემოღო ბერად და აკურთხა გელათის მონასტრის წინამძღვრად სასულევანი ანტონ I. ამა გრიგოლს სწერს ეპისტოლეს პატრიარქი იერუსალიმისა დესნიტისა ადრიანოპოლიდან 1701 წ. სექტემბერში. მომხრე ქართლის მეფის ვახტანგ VI ლევანის ძისა

ნიკოლოზ გენათელთან ერთად; იყო კაცო გონიერი, დიდი გავლენა იქონია მაშინდელ (1705—1720 წ.) აწეწილ სამეფო საქმეთა დაწესებულებაში, ამას მეტადინობით გამოეფა გიორგი ალექსანდრეს ძე მეფედ, სოლო გიორგი აბაშიძე (მეფე) დამდაბლდა. ამანვე შეარჩია ლიპარიტისა გიორგი თავის შვილს ბეჟანს 1715 წ., რომელმაც პატრიარქი ქუთაში თავისი ციხეში დააღწია. გერმანე 1742—1750.

ბესარიონ II. 1752—1779 წ. წაჭის ერისთავს (გოგნებ შოშიტას) ძე. საკათალიკოზოს განაგებდა 1756—1761 წ. 1791 წ. ცოცხალი იყო. 1756 წ. თავის ძმას, წაჭის ერისთავს—მოჭევეს თან ტფილისში შუამავლად მამა გურგენისაგან თეიმურაზ და ირაკლი მეფეებთან და ითხოვნენ შეწყენას (რსმალთაგან ჩამოართმული ქქონდა გურგენობა); მეფეთა ამით მიიღეს დიდის პატივით და ალაგვადელის მეტოქე მასტრეს ბინად; მისწერს ახალციხის ფაშას შერიგება და გურგენობის დაბრუნება. ფაშამ აღასრულა მეფეთა სურვილი. ბესარიონი დიდის საშოკრათ გაისტუმრეს ტფილისიდან. (469 გვ. ქართ. ცხ.)

იოსებ 1772—1783 წ. მამა მეფის სოლომონ დიდისა.

მაქსიმე II. 1776—1796 წ. აბაშიძე. ესე მაქსიმე ორჯერ იყო რუსეთში წარგზავნილი, ვითარცა დესპანი მეფეთა: პირველად 1769 წ. სოლომონ I წარგზავნა მოსკოვ-პეტრობურგში შემწეობის სათხოვნელად წინააღმდეგ რსმალთა, ამ დესპანობის შედეგი იყო გენერალ მაიარის ტოტლებენის ქართლიდან გადასვლა (ასპინძის ომის შემდეგ) იმერეთში და ბრძოლა რსმალეთთან 1770 წ. მეორედ წარგზავნა მეფემან დავით (1783 წ.?) ზურაბ წერეთელთან ერთად. ზურაბაშვიანვე მოიქცა სამშობლოდ, სოლო მაქსიმე დაშთა რუსეთში და 1787—1789 წ. სტოპოვებდა მოსკოვის ეისოვო-პეტროვის მონასტერში; 1789—1792 წ. სტოპოვებდა ასტრახანის ღვთაების მონასტერში. აქედამ მოისურვა მოხილვა იერუსალიმისა და ათონის მთისა, ნაზც მოუგიადა, გარნა სნეულებისა გამო დაშთა კიევი და 1792—1795 წ. სტოპოვებდა მღვიმის (Печерская) ღვთაში, სადაც გარდაიცვალა და დასაფლავდა 30 მაისს 1796 წ. (იონა მიტროპო. მოგზაურობა. 140 გვ.).

პ. ცხელიძე.

*) იხ. «მწევესი» № 10.

მენგრელიის მთავრინას კეტირინას დასაფლავებაზე მარტვილის სობორში 1882 წ.

ჰყონდილის საღმრთო, მაღალსა ბორცვედ,
სადაცა ცამან სჯულის ლამაზარი
აღუნთო მენგრელთ და მის მოწამეთ,
სდგას მუნ მღვთის-მშობლის ძველი ტაძარი.

სადაც განგებამ ცათა ნათლის რტოდ
მოსცა ანდრია, ვით საღმრთო ნება,
მან ჰყო ჰყონდილი სჯულის სატახტოდ
და ხალხთ ასწავა ჭეშმარიტება.

ითქო ლუსკუმით წმინდა ნაწილნი,
გვამნი მღვდელთ-მთავართ მუნ ისვენებენ,
სულით სრულიად ცად მიყრდნობილნი,
შორის ქერაბინთ დასთა გალობენ.

აქვე დაცულან გვამნი მთავართა,
ღვთისა მოშიშთა და სამართლიანთ,
ძველად უფლების კოლხილის ერთა,
სახელოვანთა ძეთა დადიანთ.

აქ მოგროვილან ძვალნი გმირებთა,
რომელთ ამსხვერპლეს თავი სიმართლეს,
არ დაუმონეს სამშობლო მტერთა,
სახელს სიცოცხლე მათ ანაცვალეს.

ღღეს აქ ხმა გვესმის ერთ გოდებისა,
და ხმანი სულთა სავედრებელი,
სულიერით-მამათ, საღმრთო კრებისა—
ხმა მიწდობისა შესანდობელი.

ღღეს აქ ნაყოფსა ამაოების
ვხედავთ კუბოსა ოქრო-ნაზიდით,
სდგას იგი შორის ნათესაების
და მას აღტობენ ცრემლთა ნაკადით.

მათ შორის მღვდელნი დასამტკიცებლად
ამაოების და წარმავალის,
და მოსვლამდისა მოსაგონებლად
იტყოდეს სიტყვით მიცვლებულის:

«გუშინ თქვენთანა მეც განვიციდიდი
მნათობთ დიდებას, სოფლის შევენებას,
ერთი მრავალი და მხარე დიდი
ემოწებოდეს ჩემსა უფლებას.

ბუშინ თქვენთანა, დიდებულ-შორის,
მეცა ვზრახვიდი ერთ ცხოვრებაზე,
მე მაქენდა ნება, მეფეთა სწორის,
მაქენდა უფლება მსაჯულთა სჯაზე.

ბუშინ მე შეილთა მკერდსა ვაყრდნობდი,
ამით უკმედი დედობრივ გრძნობას,
დიდების ძალსა მათ მიერ ვსცნობდი,
მით ვიოცნებდი სამოთხის შევებას.

ბუშინ ღარბახსა, მდიდრად აგებულს,
კოშკი ბროლისა ზე გადმოვკიდე,
ვსჯედ ოქროს ტახტსა, დიბა დაგებულს,
მუნ უთვალავი ლარი შეეზიდე.
ირგელივად მისა ბალი მეხევენეს,
ესპრეტლი ბუნების მუნ მხატვრობათა
ტურფა ყვავილნი სურნელად ფშვიდეს,
ვეტრფოდი მათთა ფერადობათა.

«გუშინ თქვენთანა ვიყავ მხიარულ,
სმენას მიტკობდა ქნარისა ხმები,
ვიყავ შევენებით სრულიად შემკულ
ვით განთიადის ცისა მთიები.

მაგრამ აწ წარხდა სახე დიდების
ვითა ოცნება, შეუგნებელი
ყოვლისა მისგან ხედავთ მე მშთების
ოთხთა ნაფოტთა ვიწრო კედელი.

ოქრო-მკერდისა ჩვეული გული,
ვარ კმაყოფილი ტილოს სუდარის,
ღღეს ტყვე ვარ მიწის, ხელ-ფეხ შეკრული,
ესძე მახვერბლად, ღეში შავის სამარის.

ღღეს რძე, აღმზრდელი, დედისგან ხეცდრი,
ამაოებამ ნაცრად შესცვალა,
განქრა წალკოტი, სარო და კედრი
დიდება ჩემი განყო, განსწვალა».

რა მღვდელთა სიტყვა ამაოების
სხეცა წარმოსთქვეს, მერმე დასდუმნეს,
კვლავ განადიდეს ხმა მუნ ვაების,
ვინმე ერთისგან აგრე მოგვესმნეს:

«მერ დასთვლის ერა, შენზე გოდებით.
შენის სახლის ღეწოს, კეთილ-მოვლენას,
ვერ იზლავს მხარე—მას მოგონებით
დაფრდომისა ღროს მისგან აღდგენას.

«რომ სახლმა შენმა მას მოაცალა,
მარად მტარვალნი, ირგელივი მტერი,
შფოთი მშვიდობად გარდაუცვალა,
შურის განფანტა ნისლი და მტვერი.

ღღეს ქრებოდენ სწავლა, ვაჭრობა,
აღღეს ხელი კეთილ-ზნეობას,
საჟანდ უწნდეს ღრე და ტყეობა,
ბინა არ ჰქონდა მეურნეობას;

მაშინ სახლისა შენისა ხელი,
წინა დახედვით წარუძღვა ერსა,
ჩრდილოსა ძალი, ვითა კედელი,
ერს შემოაფლო და დახედა მტერსა.

მას შეანარცხა ყველა მღვწელნი,
მით აღადგინა ერის სიწმინდე,
შესდგეს ქალაქად, კელავ მოვაჭრენი
და განიწმინდა საზღვართა კიდე.

ძელავ განიღვიძა სწავლამ, მძინარემ,
ცხოვრება ერის დაწინავე.
კელავ გადმოხედნა ღრომან, მცინარემ,
აყრილი თემი დააბინავე.

ამისთვის გიგლოვით, გავედრებთ უფალს,
რომ დაგამკვიდროს მართალთა ბინას,
აწ გეთხოვებით შეილებრ დედოფალს
მთაფრინას მენგრელთ, ეკატერინას.

ნახავ ანდრიას პირველ-წოდებულს,
მას შეავედრე მისი მარტვილი,
ნუ დასცემს ტაძარს, მის აღშენებულს,
დღეს, ვით სანაღვლოდ არის გარცენილი.

სიღვანაც ხალხი მან შეარიგა
კაცთ-მოყვარესა, მაცხოვარ-ქრისტეს.
და ძალი კერპთა სად განაქაქა,
ნუ უკვე ამას, ესდენ მოაკლეს?

რომ გვანდეს ბოზონს აღრე დანგრეულს,
ხალხმა შესწყვიტოს მისი ხსენება?
ხომ იცი მხათობს, რითმე დაესებულს,
სხივიცა მისი მასთან გაყვება.

თავ. დავით გიორგის ქე დადიანი.

მ ნ ა.

ენა მცირე ასო არის?—
ასჯერ მეტობს ის სხვა ასოს,
ვაი იმას ვისაც გუფში
ორპირ ისარს ის ჩაასობს.

ტყვიით დაჭრიდს მაღამოს ვცხებთ
მორჩება და წამოდგება,
ენამ კაცი თუ განგმირა,
მას წამადი არ უდგება.

ენა არის ცუდ-მაცთური,
თვით ეშმაგზედ უარესი,
ენა არის შხამი, მწარე
ნადველზედაც უმწარესი.

ენა ორს ძმას, ორს მეგობარს
მოსისნლე მტრად გადაგიდებს,
საფლავს გათნრის და ცოცხალ-მკვდარს
დასდებს იმის განაგიდეს.

მეფეებსა ბრძოლად ასტენს,
ერთს მეორეს გაუმკლავებს,
სისხლთა დასთნევს უბრალოთა...
სიბოროტეს გაუგვლავდებს.

ასჯერ გაზომ-აწონისა
შემდეგ, საქმეს გამოკვანწუფს,
ენა არევ-დარევს, აშლის,
დაუწუღულებს კაცს ამით გუფს.

მაგრამ თუ კი საკეთილოთ
ის ოდესმე ქე მობრუნდა,
ან სიმცრუით, ან სიმართლით
მორთო სტვირი, ბერა გუდა.

დმერთმა მოგცესთ უველა გაი,
რაც მან საქმე მოავკაროს,
შესძლებს: ცუდი, მტრობა, შერი
მოსპოს ქვეყნად, განაქარვოს.

წყევას, რისხვას, ჭექა ქუნიდს
ზეცით კაცზე მოვდივებუდს,
გურთხევად და შვებად შესცვლის
და ჰყოფს მსწრაფლად განრინებუდს.

კაცთა ხსნის და მშვიდობისთვის
აღძრავს ანგელოსთა დასებს,
ბოროტებას უჩინო უოფს...
სიკეთესა აათასებს.

დროზედ იხმარს სათნოებას,
დროზე ხვეწნა—მუდარასა,
ხანაც იხმარს საკეთილოდ
სასტიკ წყრომა მუქარასა...

მაგრამ ენას არ უპურია
მთელად ქვეყნის სვე და ბედი,
იმას სუფს სხვა ბატონი ჰყავს,
ბრძანებელი და მომქმედი...

რაჟდენ საფაოხელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ვისაც შეხედებით, ყველანი ხალერაზედ ლაპა-რაკობენ დღეს. ამისათვის მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ხალერის შესახებ. ამ გამოჩაფხულებზედ ხალერა გაჩნდა ინდოეთში. აქედგან ეს შეუბრალებელი სენი გავრცელდა სპარსეთში. დღეს ხალერამ თავი იჩინა კასპიის იმერ მხარეში. როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ ეს სენი ბაქოშიც გაჩნდა და რამდენიმე პირიც იმსხვერპლა. მთავრობისაგან ყოველი ღონე არის ხმარებული, რომ ხალერა არ იქნეს შემოტანილი საქართველოში. ყველა გუბერნიების მთავრობას და ქალაქებს მიწერილი აქვს, რომ ქალაქებში სისუფთავე დაიცვან და კსენონები მოამზადონ ხალერით ავადმყოფთათვის. ჯერ-ჯერობით, მადლობა ღმერთს, საშიშო არა გველის რა და ამიტომ ნამეტნავად საზოგადოების დაფთხოვა საჭირო არ არის. დღეს ხალერა ნასწავლი ექიმების წყალობით იმდენად გამოკვლეული და შეტყობილია, რომ ეს სენი ისე საშიშო არ არის, რამდენათაც წინედ.

უადგილოდ არ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ აქ სპარსეთის მთავარი ელჩის რიზახანის ნათქვამი და დაწერილი შემდეგი ლეგენდა ხალერის შესახებ:

«ერთი მოლლა ვირით მიდიოდა თურმე ქალაქში. ქალაქის მახლობლად რაღაც მოჩვენება გამოეცხადა და უკან აედევნა. საწყალს მოლლას შიშისაგან კინდამ გული წაუვიდა და ჰკითხა: «ვინა ხარ, რა გინდა». მოჩვენებამ თავი დაუკრა და მოახსენა: «მე ხალერა გახლავართ, ღმერთმა გამომგზავნა ამ ქალაქში, რომ ცოდვილნი ამოვსწყვიტო». სულ რამდენი ცოდვილია, რომლებიც უნდა გასწყვიტო? 500 კაციო, უბასუხა მოჩვენებამ. «ფიცი მომეცი, რომ 500-ზე მეტს არ მოჰქლამ ამ ქალაქში. მოჩვენებამ მისცა ფიცი. მოლლამ მოჩვენება ვირზე შემოისეა და განაგრძეს გზა. ქალაქს რომ მიაღწიეს, მოჩვენებამ კვლავ განიმეორა თავისი ფიცი და მერე-კი ერთმანეთს განშორდნენ.

ორი-სამის დღის შემდეგ მოლლამ ისაქმა თავისი საქმე და შინიკენ გასწია. წასვლის დროს ჰკითხა ხალხსა, რამდენი კაცი იმსხვერპლა ხალერამო. სამი ათასიო, უბასუხეს. «ერუე! მომატყუა!»-ო, წამოიძახა მოლლამ, მოჩვენების ფიცი რომ მოგონდა. ქალაქს გამოსცდა თუ არა, ის მოჩვენება კიდევ წინ დაუხვდა. მოლლამ უსაყვედურა, რად მომატყუე, ფიცი რად გასტყეო. მოჩვენებამ უთხრა, ეკ რაჩემი ბრალია, მე 500-ზე მეტი არ მომიკლავს, მაგრამ სხვები თითონ დაიხრცნენ შიშის გამოყო.

ჩრდილოეთის სააგენტოც მგონი აზვიადებს ხალერის შესახებ ამბებს. მე ოფიციალური ცნობა მომივიდა თეირანიდან, რომ ხალერისაგან დახრცულთა რიცხვი დღეში 50-ს არ აღემატება. უკანასკნელს დროს ამ რიცხვმა ძლიერ იკლო, რადგანაც მთავრობას ყოველივე ღონე აქვს ნაღონები ამ გამანადგურებელ სენის წინააღმდეგ.

* *

შემდეგ ნომერში ჩვენ დაგეგმავთ დარიგებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი ხალერის დროს.

* *

† ამა თთვის 7 თბილისში გარდაიცვალა არქიმანდრიტი მაკარი, წინამძღვარი წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა. განსვენებული ღრუბლ მახუცებული იყო. განსვენებულს ბევრს კეთილს საქმეში მიუღია მონაწილეობა. განსვენებული 32 წელიწადი წევრად იყო თბილისის ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორისა. მიცვალებულის გვამი დაუსაფლავებიათ თბილისის დარიის მონასტერში.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

პეტიოლ - წმინდისა ტაძარში,

განსაკუთრებით ღვთის-მსახურების დროს.

(გაგრძელება *)

§ 7. მწვემის თვლები უნდა ეჭიროს წყნარად, მიწის ჩამოშვებული და არ უნდა ათვლიერებდეს მღო-
რცეებს. უბრალო შეხედვა, მომეტებული შთაბეჭდი-
ლება, უბრალო გულისთვის, რომელიც მანებელის სუ-
ლისათვის, ფრად უმატებულა განსაკუთრებით ღო-
რცის დროს წმიდა ტაძარში, ამიტომაც ძველი დროის
განდგომილი ხალხთან შესკვდრის დროს შორიდგანვე
მიწის სხიდან თავს, ხოლო ღორცის დროს ისინი
უპეტესად თვლებს სრულიად სუჭავდენ.

§ 8. სამრევლო ეკლესიაში ურიგოა მღვდლების
მხრით ღვთის-მსახურების დროს ზოგიერთ პატივსაღებ
შიკების თავის დაკვრა და მათთან საუბარი ზოგიერთ
ჭკუენიურ საქმეებზე. განსაკუთრებით უადგილოა ტაძარში
ღიმილი. სამღვდლო შესამოსელმა, რომელითაც იმოსება
მწვემისა და თვითონ ტაძრის კედლებმა უნდა დააიწეოს
მწვემის ქვეყნიური საქმეები, მეგობრობა და ნაცნობობა.
ღრო არს ლაპარაკისა და არს ღრო სიჩუმისა (ეკლ. 3, 7).

§ 9) მწვემის თმა უნდა ჭქონდეს შესაფერად და-
გარცხნილი და არა მედიდურად და არც ექის გაცივით
უნდა ჭქონდეს თმა შეკრებილი. და ნუ თანა-ხატე-ქმე-
ბითსოფელსა ამა (რომელ. 12, 2). როგორც მეტი-
მეტი მოწოდება, რომ ამით მწვემისა თავი მოაწო-
ნოს სხვას, ისე უწმიდურად ჩადმა, თმის და წვერების
ურიგოდ მოვლა მწვემის მხრით, ცუდ შთაბეჭდილებას
ახდენს ნამდვილს ქრისტიანებზე.

ხოლო შენ, რაჟამს იმარხვიდე, იცნე თავი შენი
და დაიბანე პირი შენი (მათ. 7, 17) რქვა ქრისტემ.
ამასვე ითხოვს მწვემისაგან ეკლესიაც. ეს სრულიად
საკმაოა გვითელ-ზრდილობიანობისათვის. მაგრამ თავის
ცხება უნდა იყოს ზომიერი და არას შემთხვევაში
მწვემისა თავზე არ უნდა წაისვას პომადა და არც რაიმე
კეთილ-სუნნელაგანი.

*) იხ. «მწვემისა»-ს № 9.

§ 10. ტანთსაცმელი მწვემისა უნდა იყოს შესა-
ფერად, მართებული და დროის შესაბამი. ურიგოა მღვდლი-
სათვ-ს ღირებულად ჩადმა. ამიტომაც მეექვსე მსოფლიო
კრებაში დადგინა: «კრებულთაგან არავინ არ უნდა ჩაიცვას
შეუფერებელი ტანთსაცმელი არც ქალაქში მეოფობის
და არც მოგზაურობის დროს: თითოეულმა მათგანმა
უნდა ატაროს ის ტანთსაცმელი, რომელიც დაწესებულია
ეკლესიის მისამსახურეთათვის».

§ 11. ძლიერ საჭირო და სასარგებლო იყო რუ-
სეთის ეკთი ძველი კრების დადგენილობა. ამ დადგე-
ნილობის ძალით საკურთხეველში უოფნა შექმლეთ მხო-
ლოდ მღვდელ მომქმედო, ხოლო დანაჩენი მღვდელ-
მისამსახურენი უნდა მდგარიყვნენ საწიგნეზე, ელფათ,
ეგალობნათ და მაგალითი ეჩვენებინათ სხვებისათვის. საზო-
გადოდ გარეშე პართა უოფნა საკურთხეველში სელს
უშლის მღვდელ-მომქმედთა, მათ საწმუნოებრივ გმნო-
ბათა და მოქმედებათა გამოჩენას.

§ 12. მწვემისი ასამღლებლების წარმოთქმის დროს
უნდა იდგნენ ერთ განსაზღვრულს ადგილს, ან ტრაპეზის
ან სამეუფო კარების წინ და ხან სამსხვერპლს წინაშე
და ახას შემთხვევაში არ უნდა წარმოთქვან ასამღლებ-
ლები იმ დროს, როცა მიდიან ტრაპეზისკენ, ან
რომელიმე ადგილისკენ.

§ 13. ღვთის-მსახურების გარეშე დროს და არც
სამღვდლო უშესამოსლოდ არავინ არ უნდა გაიაროს
ტრაპეზისა და სამეუფო კარებზე. ხოლო ღვთის-მსა-
ხურების დროს ამ ადგილის მიტოება შეიძლება მხო-
ლოდ მიუტეილებელ და ისიც კანონიერ შემთხვევაში.

§ 14. მწვემისა მღვდელმა ნება არ უნდა მისცეს
მთავარ-ღიაკონს დასურს სამეუფო კარები ღვთის-მსა-
ხურების გათავების შემდეგ, ვადგმდის არ გათავებენ
მძაფელ-ჟამიერის გაღობას სეღმწიფის, სამეუფო სასლო-
ბის, უწმ. სინოდის, ადგილობრითი უოგლად სამღვდე-
ლოს და უველა მართლ-მადიდებელთათვის.

§ 15. აგრეთვე მწვემისა უნდა აუხსნას მთავარ-
ღიაკონს, რომ იგი, როცა ასხურებს ნაკურთხი წყლით
მლოცველებს, ფრთხილად იყოს, ე. ი. სასხურებლით
უნდა ამოიღოს ცოტა წყალი, რომ უზომოდ არ დაუ-
სველოს პირი და ტანთ-საცმელი მათ, რომელთაც მსურსთ
წმ. წყლით სხურება.

§ 16. მწვემისა ნება არ უნდა მისცეს მღვდელთნეს
და მგალობელთ, რომ მათ დაიწეონ კითხვა ან გაღობა
ასამღლებელთა წარმოთქმის და ან ღორცების წაკითხვის
გათავებამდის. ხშირად მგალობელნი ზოგიერთ ასამღ-
ლებელთა წარმოთქმის და ან ღორცების წაკითხვის გა-
თავებამდე იწეებენ გაღობას და მლოცველთ სრულებით
აღარ ესმისთ არც ასამღლებელი და არც ღორცები.

დ ა რ ი მ ე ბ ა

მხედველობის დაცვასა და თვალმხედვის მოვლაზე.

(გაგზავლება *)

თუ სენი უკვე არის, მაშინ ექიმები უკეთებენ წასაცხებლებს, ესრედ წოდებულის შეერთებული აბიასის (ОБЛОЖКА), ქუთუთოების შიგნი კიდეზე ლიაპისის მაგარ ნაზავისას, რასაკვირველია, დიდ-სიფრთხილით. თუ თავიდანვე ხელი მოკიდე, ამ ავადმყოფობის მორჩენა შეიძლება სრულიად უნაზლოდ; თუ თავი ღიანჭვე, ამ სენს მოსდევს თვალში უკუზრუნველი ღრმა ცვლილება და ძალიან ხშირად სიბრმავეც. «ბრმათა მასწავლებლების მეორე კრებაზე ევროპაში გამორკვეულ იქმნა, რომ ბრმა ყმაწვილები თითქმის ნახევარი დაბრმავებულა სწორედ ამ ახალ-დაბადებულთა თვალის ანთებით», ამბობს დოქტორი რეინი.

საქმე ხომ ასე საშიშარია, და მშობლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალ-დაბადებულების თვალის ავადმყოფობას. ხშირად გაგვიგონია ასეთი შეხედულება, ვითომც თვალის ავადმყოფობა წარმოსდგება იმისგან, რომ ყმაწვილი «ყვავილობს» და ვითომც მას ექიმობა არ ექივრებაო, არც კი უნდა მიაჩიოვო ყმაწვილი წამლების ხმარებასო. ეს ძალიან ცრუ და მავნებელი შეხედულებაა და რომელი მშობლებიც ამას დასდგომია, მათ თავისი შეილის თვალები დასაბრმაველათ გაუმეტებიათ.

ჯოჯოხეთის ქვის (ლიაპისის) ნარევი დასაცხრებელს გარდა, ექიმობას ხელი უნდა შეუწყოს თვალის სუფთად შენახვამ, რაც მთლად დამოკიდებულია მშობლებზე. უნდა მალ-მალე ამოუწმინდო თვალები ბამბის ნაწეწით, რომელიც უნდა დაასველო ესრეთ წოდებულის ბორის სიმჭევეში (ერთი საჩაე კოვზი ბორის სიმჭევე უნდა შეურიო ერთ სტაქანს გადმონადულ და გაგრილებულ წყალში). ამასთანავე უნდა გახსოვდეს, რომ ქუთუთოებს ქვეშითგან გადმონადენი ჩირქი ძალიან გადამდებია და საღი კაცის თვალშიაც რომ მოხედეს, ისეთსავე ძლიერს ანთებას გაუჩენს.

ამისთანა ანთება ხომ უამისოთაც შეიძლება გაუჩნდეს კაცს, თუ მას თვალში მოხედა ცოტაოდენი ჩირქი ათამანგით ავადმყოფისაგან გადმოსული.

დიდების თვალის ბალღმანი ანთება უფრო საშიშარი და საშიშროა, ვიდრე ბავშვებისა: ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ კაცი დაბრმავებულა ავადგანდომის მეორე დღეს. ამიტომაც, თუ ვისმე, ამისთანა სენით შეპყრობილს, თვალები ასტკივდეს და

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-10 № 1892 წ.

ქუთუთოები დაუსიედეს, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. ამგვარის სენის ასაცილებლათ უნდა ყოველთვის ფთხილათ იყო, რომ თვალში ჩირქი არ მოგხედეს, და არამც და არამც თვალს გასერილი ხელი არ უნდა მიაკარო. *)

§ 55. ყმაწვილობის დროს თვალის ტკივილს აჩენს, უფრო ხშირათ, წითელა, ყვავილი და სატკურას (დურბელის) სნეულებანი. წითელას და ყვავილით ავადმყოფობის დროს, ყველამ იცის, რომ თვალის ტკივილიც დაჰყვება ხოლმე. მათ ექიმობა უნდა წესიერად, გულსმოდგინეთ და მინდობილი უნდა ქონდეს ექიმს. ამ შემთხვევაში, აქ, კავკასიაში, განათლებული კაცები უნდა ებრძოლონ ყოველის ღონისძიებით ერთს გაერცელებულს ცრუ-მორწმუნეობას: აქაურ ხალხს, მეტადრე სოფლებში, მტკიცედ სწამს, ვითომც წითელა და ყვავილი იყოს რალაც უხილავი სულები და ვითომც ამ სახადების ექიმობა შეუძლებელია: «ბატონები» არ გავახელოთ, გავანაწეწოთო. ამის გამო საბრალო ბაღანა, ამ ავადმყოფობით ტანჯული, წვეს თავისთვის უექიმოთ და დაუხმარებლათ. მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ მხოლოდ ის, რომ დააკმაყოფილონ ყოველგვარი მისი სურვილი და აჩემება და გაართონ ჩანგურით, სიმღერით და ცეკვით: ბატონებს იამებათო და ავადმყოფს უსაღვათებნო. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ცრუ შეხედულება არის უფურობის ნაყოფი, რისგამოც ასობით თვალები იღუპება და ემსებათ საბრალო ბავშვებს.

თუ როგორ უნდა უაქიმო თვალს ამ ავადმყოფობის დროს, ექიმის საქმეა. შინაურებმა მხოლოდ მისი რჩევა და დარიგება უნდა დასრულონ კი, მოუარონ ავადმყოფს და დაწეინონ წითელიანი მობნელო ოთახში: თვალს სინათლე აღარ გააბღვებს, გააცხარებს და ტკივილისაგან დაიფარებიან. ყვავილის შესახებ კი ის უნდა შევნიშნოთ, რომ საუკეთესო საშუალება თვალის დაცვისათვის აქამდე ყველაზეა. თუ ყვავილ ატრილს მაინც და მაინც დაემართა ბუნებითი ყვავილი, ამისთანა შემთხვევაში, როგორც ყველა ექიმები მოწმობენ, თვალს არა უშავსრა, ტკივილი არ დაჰყვება.

*) ახალ დაბადებულების თვალის ავადმყოფობა დაწვრილებით განხილული აქვს დოქტორს რეინს სახალხო დაწერილ მშენიერ წიგნაში, სახელად „როგორ უნდა დაიფარო ბავშვების თვალები ჩირქიანის ანთებისგან და როგორ უნდა უაქიმო“. მეორე გამოც. ს. პ. 1886 წ.

ახლა მოვილაპარაკოთ სატკბურაზე, რომელსაც ხშირად დაჰყვება ხოლმე თვალების ტკივილი, მეტადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ავადმყოფობა ამნაირად მომდინარობს: ბავშვებს თვალები უწითლდებათ, უკრემლდებათ, სინათლისგან ეჭყუტებათ. თვალების ცილაზე, მეტადრე რკის ფერ გარსის კედლით, ხშირად თვითონ ამ უკანასკნელზე, ჩნდება პაწაწა ბუშტები: ცოტას ხანს უკან ბუშტები სქდება და ჩნდებიან პაწა წყლულები. ეს პაწა წყლულები, თუ მათ შესაფერათ არ უაქიძე, შიგნისკენ მიიწევიან და ზოგჯერ შუაში გახერხებენ თვალის გარსს. მაშინ თვალბოთვან გამოდის სითხე, შლამი, რასაც მოსდევს მეტად სამწუხარო შედეგი. რიგიანის ექიმობით ეს პაწა წყლულები ძალიან მალე და ადვილათ მოსაშველდელია და გასამრთელებელი, მაგრამ ხშირად აქაც ცრუმორწმუნება ხელს უშლის ექიმობას. ჩვეულებრივად, ყმაწვილზე ამ დროს სატკბურა სხვაფერი ეაც იჩენს თავს: პირის სახის სიყვითლე, მოსხლეტილობა, პირზე მუწუკები, მუზოლფარე ზღმურდლები მთელს სხეულზე და მისთანები ზედ ერთის. აი ამიტომაც ბავშვის მომვლელები ამბობენ, — რომ «ეს თვალის სენი კი არაა, სატკბურა გამოდის გარე თვალებში და ამიტომ ექიმობა უფრო აენებსო». ამისთანა შეხედულობა სრულიად უარყოფილია მეცნიერებისაგან. თვალბოთვან ტანჯვა-ტკივილი სრულიად იმას არ გვიჩვენებს, ვითომც სატკბურა გარე გამოდის თვალბოთვან ექიმობა კი არაოდეს ხელს არ უშლის თვითონ სატკბურას ექიმობას.

VI. თვალბოთვან გომიერო უფრო მიიძე ამითმყოფ- მომგამე.

§ 56. მოზდილ ასაკში, სხვა-და-სხვა მუშაობის დროს, ან სხვა მიზეზების გამო, კაცმა ხშირად შეიძლება მიიღოს თვალბოთვან ჭრილობა, ანუ სხვაფრივ დაშავება.

დაშავებულ თვალზე ძალიან სასარგებლოა დაიდო ყინული, და თუ ეს არ იშოვება, სოველი ტილოს ნაგლეჯები ცივ წყალში ამოვლებული; გათბება თუ არა ტილო, მაშინვე უნდა გამოუცვალო.

ჭრილობის დროს, ჯერ ჭრილობა უნდა გაბანო ზემოთ ნაჩვენების ბორის სიძველით (ერთი ჩაის კოვზი ერთ სტაქან გადმოღულებულ წყალში), მერე უნდა

დაადგა ძალიან სუფთა ტილოს ნაგლეჯი, ზედ სუფთა გაპენტილი (გიგროსკოპიული, აფთიაქში ისყიდება) ბამბის ფთილა და უნდა შეიხვიო სუფთა რბილი ტილოს არტახით.

ბორის სიმკვების ნაზავი და სუფთა შესაკრავ-შესახვევები ჭრილობას იცავს სიღამლისაგან და მით ხელს უწყობს მალე მორჩენას. თვალი უნდა სუფთად იქონიო. უსუფთაობა, ყოველი ჭუჭყიანი ნივთი, მეტადრე მავნებელია ტკივან თვალზე დადება აბლაბუდას ქსელისა, მიწისა, ცხოვლის ფეხის, ჩონჩო-რიკისა (ამასაც ხმარობენ გლეხები), ამისთვის რომ ყოველივე ეს საშინლად აჭუჭყიანებს თვალბოთვან და საშინელ სიღამლეს და დაბალღმებას აჩენს. *) — მერე ამ ასაკში ჩნდება ხშირად ავადმყოფობები, რომელთაგან ფრიად საყურადღებოა თვალბოთვან კუთების ღამბლები, (ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამისთანა ღამბლები სხვა მიზეზებისაგანაც შესდგება ხოლმე). ზოგჯერ, აგრე რომ კაცს სადმე გზაში გამოუღვიძია, ცივ ტაროსში, ღია ჰაერზე ძილს შემდეგ, ცვარიან-ში... უეცრად უჩნდება ბრუციალობა: ერთი თვალი ცოტადანთ გვერდზეა გადახრილი; უფრო ხშირად გარეთკენ ანუ შიგნისკენ და იშვიათად ზევითკენ ანუ ქვევითკენ. ამასობაში თვალტკივანს ყოველი საგანი ერთი-ორად ეჩვენება; ეს მუდამი ორმაგობა სარწმუნო ნიშანია თვალთა მოძრაობის სიმრუდისა. იგი თავდაპირველ შეუჩვევრობის ჯამო, მეტათ სამძიმოა თვალტკივანისათვის. იგი ევლარ იცქირება, ევლარ დადის, რადგან მას ჰგონია ყველაფერი ორმაგდება და მის წინ მოძრაობს. ასეთი მდგომარეობა თავბრუს ასხამს და რომ ამას გადურჩეს, ერთს თვალს იხვევს ხოლმე.

თუ მალე წესიერად უაქიძე ასეთს ავადმყოფობას, იგი უფრო ხშირად დაუშავებლად, უნაზლოდ ჩაივლის. თუ შევადგინე და მიაჩინე, მაშინ კუთის სიღამბლით დამართებული თვალის დაბრეციანება სამუდამოთ რჩება და გადახრილ თვალში მხედველობა სუსტდება სამუდამოთ.

*) ჩვენს ქვეყანაში სოფლის ექიმები ხშირად ხმარობენ რა-ღაცა ყომრად თუ მოწითლო ფხვნილს, რომელსაც, უმეტესათ, ამაზდებენ ნაცრისგან, ბაღახ-ბუღახისგან და ფრინგის სკინტლისგან. ეს მეტათ მავნებელია, რადგან შიგ ბლომით ურევია სიღამბლის გამჩენი ნივთიერება. იმას რომ თვალში ჩაყრი, უბრალო იარები და სუბუქი ანთებები გადადიან ბაღ-ღმიან სიმპალეთ, რაც ან მთლად ამსებს თვალს, ან ზედ სცოვებს მოურჩენელ ბისტს.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მღვდლის იოანე კანკავასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი კითხვები განსამარტებლად:

1) ერთსა და იმავე დღეს სხვა-და-სხვა ეკლესიებში სხვა-და-სხვა მღვდლებმა რომ უწირონ ერთს მიცვალებულს; ერთ წირვად ჩაითვლება, თუ იმდენ წირვად, რამდენიც მწირველი მღვდელი იყო სხვა-და-სხვა ეკლესიებში ერთსა და იმავე დღეს?

სხვა-და-სხვა ეკლესიაში ერთსა და იმავე პირზე შესრულებული წირვა იმდენ წირვად ჩაითვლება, რამდენ ადგილასაც იწირება.

2) მიცვალებულის გვამის ეკლესიის გარშემოტარება მიუცილებელი საჭირო არის, თუ არა?

მიცვალებულის გვამის ეკლესიის გარშემო შემოტარებას არც ერთი ტიპიკონი არ უჩენს, მაშასადამე სრულებით საჭირო არ არის და არც უნდა ასრულებდნენ ამას. ეს ისეთი ჩვეულება არის, როგორც სახლიდამ მიცვალებულის გამოსვენების დროს კარების ჩაკეტა და კუბოს მიხლა კარებზე და სიტყვის წარმოთქმა: დაუტევე სახლს ამას მშვიდად.

3) ორი მიცვალებული რომ შეხვდეს ერთ სახლში წესის ასაგებად, შეიძლება თუ არა, რომ ორივეს ერთად აეგოს წესი, თუ ჯერ ერთს უნდა აეგოს წესი და შემდეგ მეორეს?

რამდენიც უნდა იყოს გარდაცვალებული, ყველას ერთად აეგება წესი. ამას ცხადათ მოწმობენ წესის ასაგები სიტყვებიც.

4) რომელიმე ბავშვის მონათვლაზედ გადანარჩენი ზეთი იხმარება თუ არა შემდგომ სხვა ბავშვების მონათვლაზედ, და თუ იხმარება, ამ შემთხვევაში ამ ზეთზედ ერთხელ წაკითხული ღოცვა „მეუფო, უფალო ღმერთო მამათა ჩვენთაო“ ხელახლად უნდა იქმნეს წაკითხული, თუ არა?

სანამ ერთჯერ ნაკურთხი ზეთი არ გამოიღვეს, ყოველთვის იგი იხმარება და ყოველ ბავშვის მონათვლის დროს ამ ზეთის კურთხევა საჭირო არ არის.

5) კუროსევანში ტიპიკონი უჩენს მეორე და მესამე მქორწინეთა სამი და ხუთი წლის უზიარებლობას, მაგრამ ამას დღეს არავინ არ ასრულებს. ან შეიძლება თუ არა მეორე და მესამე გზით ნაქორწინევი შემდეგ ჩვეულებრივის მარსულობისა ეზიარნენ წმინდითა საიდუმლოთა?

ამ ტიპიკონს წინეთ ჰქონდა მნიშვნელობა; დღეს სულ სხვა დროა, ზოგიერთი საქმისთვის

თოთხმეტი წელიწადი ჰქონდა კაცს აკრძალული ზიარება, მაგრამ დღეს თოთხმეტ თვეზე დააყენებენ ხოლმე. დღეს საჭიროა ეს ხანი შემოკლდეს და მღვდელი მოიქცეს ამისთანა შემთხვევაში სიფრთხილით და დაკითხვით.

მღვდლის ნიკოლოზ ყიფიანისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„მ. რედაქტორო! სასულიერო კანონდებულებისაგან კარგათ ვიცით, რომ მღვდელმა უპრიჩეტნიკოთ არავითარიმე მღვდელ-მოქმედება არ უნდა შესრულოს. მაგრამ ყოველ მღვდელ-მოქმედების დროს პრიჩეტნიკის დასწრებას მრავალი დაბრკოლება უხვდება წინ. მით უმეტეს რომ ზოგი პრიჩეტნიკი ხუთი ვერსიადამ თორმეტ ვერსადამ არიან თავის სახლიდამ ეკლესიაზე განწესებული და, როდესაც შეხვდება მღვდელს რომელიმე მღვდელ-მოქმედების შესრულება, ვინ არის ვალდებული აცნობოს პრიჩეტნიკს, რომ ის მოვიდეს მღვდელთან თავის სამსახურის აღსრულებისათვის და ან შეიძლება ამისთანა შემთხვევაში უპრიჩეტნიკოთ აღასრულოს მღვდელმა რომელიმე მღვდელ-მოქმედებითი სამსახური, თუ არა?

მედავითნის საცხოვრებელი ადგილი და სახლ-კარი რომ შორს იყოს მის სამრევლოზე, ამით ის თავის ვერ გაიმართლებს მღვდელ მოქმედების ასრულებაზე დაკლებისათვის. სადაც უნდა ქონდეს მამული, მას დღიდგან მედავითნელ განწესებისა—მღვდლის ნება-დაურთველად არ შეუძლია გაშორდეს იმ ეკლესიის მრევლს, რომელზედაც არის განწესებული. სამრევლოში მყოფი მედავითნე, თვითონ მრევლს, რომელიც მღვდელ-მოქმედების ასრულებას ითხოვს, უნდა მოაწოდებოს. თუ მედავითნე მრევლს გარეშე სცხოვრებს და თავის სამრევლოში არ ღვება, მღვდელს შეუძლია ამისთანა მედავითნე დაათხოვნიოს მთავრობას. უკანასკნელ დროს, მართლა, ხშირად წესდებთან მედავითნეებთან ზოგიერთები დაშორებული ადგილებიდან და ჰგონიან, თუ თვეში ერთხელ მივიდნენ ეკლესიაზედ, ეს კმარა მათი სამსახურისათვის!